



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გონგლიაშვილი მედეა სიმონის ასული



მ. გონგლიაშვილი
ფორტეპიანოსთან

გონგლიაშვილი მედეა სიმონის ასული (10. I. 1933, თბილისი, - 23. II. 2012, იქვე), პიანისტი, ესტრადის კონცერტმარტერი. საქართვე. სახ. არტიტი (1984). 1951 დაამთავრა თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრ. სამუსიკო სკოლა. 1956 - თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (გეოფიზიკოსის სპეციალობით). 1956-68 მუშაობდა საქართვე. პოლიტექ. ინ-ტში ფიზ. კათედრაზე. პარალელურად, როგორც პიანისტი, უკრავდა ამავე ინ-ტის საესტრადო ორკესტრში (ხელმძღვ. ი. ტულუში). 1961-იდან მუშაობდა სხვადასხვა საესტრადო მომღერალთან კონცერტმარტერად. 1968-იდან საქართვე. სახელმწ. ფილარმონიის კონცერტმარტერია. ძირითადად მუშაობდა ნ. ბრეგვაძესთან. მასთან ერთად საგასტროლოდ იმოგზაურა სსრკ ქალაქებში და საზღვარგარეთ. მისი შესრულება გამოირჩევა მაღალი პროფ. კულტურით, რბილი, ფაქიზი ჟღერადობით, ნაწარმოების არსში ღრმა წვდომით, მომღერალთან სანიმუშო თანახმიერებით. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკ. VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი (1957).
